№ 277 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. კვირა, დეკემბრის 5 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გამოწერის ფასი თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 20 მან. 4-ზე გ. 15 მან. [illegible] განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 500 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 260 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82.

## ქიზიყ-კახეთის სავაჭრო-სამრეწველო

## სახალხო სამეურნეო ბანკის

(ქალ. სიღნაღში) საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ

## ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ

ამა წლის 19 ნოემბერს

ხსენებულ ბანკის წესდება დაამტკიცა.

**ძირითადი თანხა ბანკისა** პირველ ხანად არის განსაზღვრული **20 (ოცი) მილიონი მანეთით**, თითო აქცია ღირს ათასი (1000) მანეთი. ხუთი აქცია იძლევა ერთი ხმის უფლებას.

ხელის მოწერის დროს უნდა იქნეს შეტანილი აქციის ღირებულების ნახევარი (500 მანეთი) და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად ერთ დროულათ ასი (100) მანეთი აქციაზე.

**ხელის მოწერა მიიღება:** 1920 წლის დეკემბრის 6 (ორშაბათი), 7 (სამშაბათი), 8 (ოთხშაბათი), 9 (ხუთშაბათი), 10 (პარასკევი) და 11 (შაბათი).

## ქალაქ სიღნაღში: საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში

**ქალაქ ტფილისში: „ცენტრობანკში“ (პუშკინის ქ. 3) და „ელზიონაში“ (პლეხანოვის პრ. № 5). სოფ. გურჯაანში, ველისციხეში, ჯუგაანში, და ქვემო-მაჩხაანში საკრედიტო ამხანაგობებში.**

საორგანიზაციო კომიტეტი ამავე აცხადებს, რომ

## აქციონერთა პირველი დამფუძნებელი კრება

დანიშნულია 26 დეკემბერს 1920 წელს სიღნაღის ახალ კლუბის დარბაზში ნაშუადღევის 12 საათზედ.

**განსახილველი საკითხები:**

1. საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება, 2. სიღნაღის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან აქტივისა და პასივის მიღება, 3. 1921 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 4) არჩევნები საბჭოს გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა და 5. მიმდინარე საკითხები.

1013 3—3 **საორგანიზაციო კომიტეტი.**

---

**სახელმწ. თეატრი.**

**ოპერა.**

კვირას 5 დეკემბერს დილას, ბალეტი მორდკინისა

## „კოპელია“

კვირას 5 დეკემბერს „ქეთო და კოტე“, ორშაბათს, 6 დეკემბერს სიმფონიური კონცერტი ბოროვსკის და ბელოუსოვის მონაწ., სამშაბათს, 7 დეკემბერს ქართულ ენაზე ოპერა „ლალატი“, ოთხშაბათს, 8 დეკემბერს პირველად განახ. შემდეგ „ფრა-დიავოლო“, ოთხშაბათს, 9 დეკემბერს პირველად განახ. შემდეგ „ტოსკა“. დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

1002 1—1

---

## ოზურგეთის

სამაზრო ერობის გამგეობა იწვევს

**მ. წ. დეკემბრის 5-ს.**

## საერთო ყრილობას

**განსახილველია:** გამგეობის მოხსენება, სარევიზიო კომისიის მოხსენება, საერობო არჩევნები, სასურსათო ბელლების დაარსება, უძრავ ქონებათა ჩამორთმევა, სავალდებულო დადგენილებები და სხვა.

**ერობის გამგეობა.**

1005 2—2

---

## დამფუძნებლები

**ტფილისის სავაჭრო-სამრეწველო ბანკისა, გადაკეთებული მეორე ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებიდან**

ამით აუწყებენ ტფილისის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის აქციონერებს, რომ კვირას დეკემბრის 20-ს დილით 11 ს საათზე ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების ბინაზე იქნება დამფუძნებელ აქციონერთა საზოგადო კრება.

**განსახილველია:**

1) დამფუძნებელთა მოხსენება ტფილისის მეორე საურთიერთო კრედიტის საზოგადოების აქტივისა და პასივისა და ყველა ხელშეკრულობის და ვალდებულების მიღების შესახებ, 2) ხარჯთ-აღრიცხვა მომავალი 1921 წლისა, 3) არჩევა ხუთი გამგეობის, ცხრა საბჭოს და ხუთი სარევიზიო კომისიის წევრთა.

4081 1—1

---

## კომიტეტი

ტფილისის მეორე საურთიერთო საზოგადოების ტფილისის სავაჭრო-სამრეწველო ბანკად გადაკეთების

იწვევს ტფილისის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის აქციებზე ხელის მომწერთ, რათა მათ შეიტანონ თითეულ აქციაზე 40 % აქციების ნომინალურ ღირებულებისა, ესე იგი 100 მანეთი (რითაც შესდგება 50 % წინასწარი 10 % შეტანილით). გარდა ამისა საჭიროა ამავე დროს შეტანილი იქმნას თითოეულ აქციაზე 2 მან. 50 კაპ. საღერბო გადასახადი და 4 მ. 50 კაპ. წინასწარი ხარჯი ბანკის გადაკეთებისათვის, სულ მთლად თითოეულ აქციაზე 107 მანეთი.

ეს თანხა უნდა იქმნეს შეტანილი ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში ზემოხსენებული კომიტეტის მიმდინარე ანგარიშში № 1637 ერთი კვირის განმავლობაში ესე იგი მ. წ. დეკემბრის 6 დან 12 მდე.

40 % შეტანისთანავე საჭიროა წარედგინოს უკვე მიღებული კვიტანციები წინასწარი 10 %-ის შეტანისა.

4081 1—1

---

## სიღნაღის სამაზრო საერობო

## გამგეობა

## იწვევს

მომრიგებელ მოსამართლეებს ლაგოდეხის, სიღნაღის და ქიდალოს უბანში,

## სამაზრო სტატისტიკოსს და სათემო ინსტრუქტორს.

მსურველთ უნდა მიმართონ თხოვნით და შესაფერ საბუთების წარდგენით ზემოაღნიშნულ გამგეობას. ჯამაგირი გამგეობასთან შეთანხმებით.

**საერობო გამგეობა.**

1018 3—1

## ოფიციალური განყოფილება.

# განკარგულებანი

### იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.

30 ნოემბერი, 1920 წ., № 422.

**დაინიშნოს:** იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწედ ამავე კანცელარიის მოხელე დავით ირაკლის ძე თუთბერიძე ა. წ. დეკემბრის 1-დან.

№ 423.

**დაინიშნოს:** იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის მანქანაზე მბეჭდავად ამავე კანცელარიის მოხელე ივლიტა იაკობის ასული ჯავაშვილი ა. წ. დეკემბრის 1 დან.

№ 424.

**დაინიშნოს:** იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის მოხელედ ამავე კანცელარიის შტატ გარეშე დაქირავებული მოხელე თამარ ალექსანდრე კანდელაკის ასული ა. წ. დეკემბრის 1-დან.

№ 425.

**დაინიშნოს:** იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის მოხელედ თამარ ვასილ ბაგრატიონ-დავითაშვილის ასული ა. წ. დეკემბრის 1-დან.

№ 426.

**დაინიშნოს:** იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის მოხელედ თამარ არტემონ დუმბაძის ასული ა. წ. დეკემბრის 1-დან.

№ 421.

**დაინიშნა** იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწედ ამავე კანცელარიის მოხელე ოლღა მიხეილის ასული ხერხეულიძე-იანკოვსკისა ა. წ. ოქტომბრის 16-დან.

№ 420.

**განთავისუფლებულია** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის მანქანაზე გადამწერი ბარბარე გიორგი კაპანაძის ასული ა. წ. დეკემბრის პირველიდან.

№ 428.

**დაინიშნოს** იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ კანონთა გადამსინჯველ კომისიის მანქანაზე გადამწერად ელენე ნიკოლოზის ასული გერმან ა. წ. დეკემბრის 1-დან.

დეპარტამენტის დირექტორის

თ. ა. **ივ. ბერიაშვილი.**

### სახელმწიფო ბანკის მმართველისა.

2 დეკემბერი, 1920., № 1952.

**დაინიშნენ:** სახელმწიფო ბანკის ნაწილის გამგის უმცროსი თანაშემწე სიმონ გამყრელიძე იმავე ბანკის კასირის თანაშემწედ, უმცროსი საქმის მწარმოებელი ვლადიმერ ხუსკივაძე ნაწილის გამგის უმცროს თანაშემწედ და მოანგარიშე ბარბალე თამამშევისა უმცროსი საქმის მწარმოებლად, ყველა სამნი ა. წ. 1 დეკემბრიდან.

სახ. ბანკის მმართველი **ი. ლორთქიფანიძე.**

## არა ოფიციალური განყოფილება.

# მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას სიტყვა

### დამფუძნებელი კრება, 1-ლ დეკემბრის სხდომა

(დასასრული)

რას ნიშნავს დემოკრატიული რესპუბლიკა. არის ორი ტიპი რესპუბლიკისა, არის რესპუბლიკა პარლამენტარული და რესპუბლიკა დემოკრატიული. პირველად 1849 წ საფრანგეთის გამოჩენილმა მოღვაწემ ტიერმა საფრანგეთის რესპუბლიკას უწოდა პარლამენტარული რესპუბლიკა მას შემდეგ, რაც საფრანგეთის პარლამენტიდან გაძევებულ იქნენ მონტანიარები ე. ი. უკიდურესი პარტიები და დარჩნენ მხოლოდ ბურჟუაზიის წარმომადგენლები. როგორია პარლამენტარული რესპუბლიკა ტიერის მიერ აღიარებული. ამის შესახებ კაუცკი შემდეგს სწერს:

„ბურჟუაიას შეუძლია ბატონობა მხოლოდ პარლამენტარული მონარქიის დროს, როცა ამ მონარქიის მეთაური წარმოადგენს უბრალო დეკორაციას“.

ესე იგი ბურჟუაზიის მიუცილებელი მოთხოვნილება პარლამენტარული რეჟიმია, იქნება ის რესპუბლიკის ფორმა, როგორც საფრანგეთშია, თუ მონარქიის, როგორც ინგლისში—ეს სულ ერთია. კ. მარქსის სიტყვებით ბურჟუაზიას 1849 წელს ტიერის მეთაურობით ასე ესმოდა რესპუბლიკა: „ეს პარლამენტარული ფირმაა ბურჟუაზიის ბატონობის, რომელიც შეუზღუდველია (როგორც მონარქიაში) აღმასრულებელი ძალით და პალატის ვადის შესრულებამდე დათხოვნით“.

ერთი სიტყვით, ბურჟუაზიულ რესპუბლიკანურ პარლამენტარული წყობილების დროს მთელი ძალა-უფლება, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი და სასამართლო არის მხოლოდ პარლამენტის ხელში. თვითმპყრობელი მეფის მაგივრად არის თვითმპყრობელი პარლამენტი, თავად-აზნაურობის მაგივრად—ბურჟუაზია. პრინციპი ერთნაირია—უსაზღვრო გაძლიერება ცენტრალური მთავრობის, მხოლოდ ეს ხდება სხვა და სხვა ფორმით და საშუალებით, როცა ბურჟუაზია ხელთ იგდებს ეკონომიურ ძლიერებას, მაშინ ის პოლიტიკურადაც ბატონობდა. პარლამენტარული წყობილების ბატონდება დროს ბურჟუაზიის ხელშია კანონების გამოცემაც, მათი ასრულებაც (ადმინისტრაცია, პოლიცია, ჯარი და სხვა) არცერთი ამ ფუნქციას ის არ ანიჭებს არც ხალხს და არც სხვა პარლამენტისაგან დამოუკიდებელ ორგანოებს.

პარლამენტარული რესპუბლიკა—ეს იგივე პარლამენტარული მონარქიაა უმონარქოდ და პირ-იქით. პარლამენტარული მონარქია თავისი სტრუქტურის მიხედვით იგივე პარლამენტარული რესპუბლიკაა უპრეზიდენტოთ. დამახასიათებელი თვისება რესპუბლიკისა, პრეზიდენტი კი არ არის, და არც საყოველთაო საარჩევნო უფლება, არამედ—პარლამენტარული რეჟიმი, ე. ი. ბურჟუაზიის პოლიტიკური დიქტატურა, ყოველნაირი ძალაუფლების მის ხელში მოგროვებით. ამ რეჟიმის მეოხებით ისინი სახელმწიფოს ფარგლებში არ ითმენენ და არ აძლევენ ნებას სხვა რომელიმე ძალა უფლების დამკვიდრებას, თუ ის ცენტრზე არ არის დამოკიდებული და უკანასკნელი მას კანტროლს არ უწევს.

ამ კითხვაში დამახასიათებელია არა პრეზიდენტი, არა მონარქი, არამედ პარლამენტარული რეჟიმი, ე. ი. ის, რომ მთელი ძალაუფლება თავმოყრილია ცენტრში.

ასეთია მოკლედ პარლამენტარული რესპუბლიკა და ასეთი რესპუბლიკები არსებობენ საფრანგეთში, ინგლისში და სხვა მრავალ მოწინავე სახელმწიფოებში თუმცა მონარქია არის, მაგრამ მას არ აქვს ძალა უფლება, მთელი ძალა-უფლება არის გადატანილი პარლამენტის ხელში. რანაირია დემოკრატიული რესპუბლიკა ამის შესახებ მე ვწერდი:

„პარლამენტარულ რესპუბლიკისაგან დემოკრატიული რესპუბლიკა პრინციპიალურად განსხვავდება.

დემოკრატიულ რესპუბლიკას საფუძვლად ედება პრინციპი ხალხის პოლიტიკური თვითმართველობისა. აქძალა-უფლება მარტო ცენტრში არ არის მოგროვილი, არამედ განაწილებულია ცენტრსა და პერიფერიების შორის ხალხი ირჩევს არა მარტო დეპუტატებს პარლამენტისათვის, არამედ კანონების აღმასრულებლებსაც, ადმინისტრატორებს, მოსამართლეებს და სხვა. ხალხი პირდაპირ მონაწილეობას იღებს კანონების გამოცემაში. ისე, რომ დამახასიათებელი თვისება დემოკრატიულ რესპუბლიკისა ის არის რომ აქ ხალხი პირდაპირ მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში. ამისათვის კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ ხალხს თვითონ ჰქონდეს პარლამენტისაგან დამოუკიდებელი საკუთარი მართვა გამგეობის ორგანოები. წინაამდეგ შემთხვევაში, თუ ცენტრალურმა ორგანომ შესძლო გაუქმება მოქალაქეთა ამა თუ იმ გადაწყვეტილებისა მაშინ რესპუბლიკა იქნება არა დემოკრატიული არამედ პარლამენტარული. კარლ მარქსის აზრით „მთავრობამ უნდა გაამარტივოს, შეამოკლოს სახელმწიფო მექანიზმი, რაც შეიძლება ნაკლებათ იმართველოს, დაიჭიროს ნაკლებ რიცხვი მოხელეებისა, ნაკლები კავშირი დაიკავოს ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან, უნდა შეიქმნას ბურჟუაზიისათვის და მათ საზოგადოაზრისათვის მთავრობისაგან დამოუკიდებელი ორგანოები (id. 93, 191) როცა ამ რიგად ვანაწილებ ძალაუფლებას პარლამენტსა და ხალხს შორის, და ვაძლევთ უკანასკნელთ გარანტიას ცენტრის ოპეკის წინაამდეგ, ამით ჩვენს საშუალებას უსპობთ ბურჟუაზიას ჩაერიოს სახელმწიფოს საშუალებით ხალხის ყველა საქმეებში, იყოს ყოველგან მყოფი მთავრობის ორგანოების საშუალებით. ერთი სიტყვით, ვამცირებთ და ვზღუდავთ ბურჟუაზიის პოლიტიკურ დიქტატურას.

თუ მაგალითად, ცენტრი სცემს კანონებს ხოლო ის სისრულეში მოყავს ხალხის, ანუ რომელიმე ორგანოს მიერ არჩეულ ცენტრის დამოუკიდებლათ, ცხადია, ბიუროკრატია უქმდება, მთავრობა რჩება უმოხელოთ ანუ თუ კანონი, რომელიც გამოცემულია მთავრობის მიერ, ხალხმა არ მიიღო, მაშინ პარლამენტს ეკარგება უმაღლესი საკანონმდებლო ძალაუფლება, რომელსაც ზღუდავს ხალხი.

აქ, როგორც ხედავთ, დემოკრატიული რეჟიმის ან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარი თვისება არის არა იმაში, ყავს თუ არა მას პრეზიდენტი, არამედ იმაში რომ ძალაუფლება არის სახელმწიფოში დანაწილებული ცენტრსა და პერიფერიებს შორის. ასეთი უფლება არის 3 ნაირი: კანონ მდებლობა, ადმინისტრაცია ანუ მმართველობა და სასამართლო.

მაშასადამე დემოკრატიულ რესპუბლიკაში არის კანონმდებელი პარლამენტი და ხალხი. ხალხს აქვს უფლება სთქვას თავისი აზრი იმ კანონზე, რომელიც მიიღო პარლამენტმა ან მოიწონოს, ან დაიწუნოს ის. ამას ეწოდება რეფერენდუმი.

აგრეთვე ხალხს აქვს უფლება თვით აღძრას კანონის გამოცემის საკითხი შეიტანოს პარლამენტში პროექტი და პარლამენტი იძულებულია ამაზე იქონიოს მსჯელობა, ან უარყოს, ან მიიღოს. მაშასადამე, თუ ხალხს სურს კანონის გამოცემა და პარლამენტი უარყოფს, რასაკვირველია, მას აქვს უფლება რეფერენდუმის და სხვა გზის, რომ პარლამენტს დაატანოს ძალა, რომ ეს კანონი იქნეს გამოცემული. მაშასადამე მას აქვს უფლება კანონ მდებლობისა. ეს კანონ-მდებლობა ნაწილდება ცენტრსა და პერიფერიებს შორის ე. ი. ხალხში.

ასეთია პრინციპი მართველობის. არის ცენტრი—მთავრობა და არის ორგანო ხალხისა, თემი, ერობა, ქალაქები.

და აი, ადმინისტრაცია, როცა ასრულებს ამა თუ იმ ბრძანებას, ის ემორჩილება არა მთავრობას, არამედ ხალხის ამ ორგანიზაციებს მაშასადამე ეს მმართველობის განაწილება აქაც ხდება. ასევე ხდება სასამართლოს სფეროში, ხალხი თავისი ორგანოს საშუალებით აირჩევს მოსამართლეებს, ზოგს ნიშნავს პარლამენტი. ასე, რომ სასამართლოს ფუნქცია არის დანაწილებული ცენტრს და ხალხს შორის.

ასეთია დემოკრატიული რეჟიმის ძირითადი პრინციპები და დანაწილება იმ სახელმწიფო ფუნქციებისა, ცენტრსა და პერიფერიებს შორის.

აი ეს შეხედულება დაცულია კომისიის პროექტში. აქ არის ძირითადი კითხვები დემოკრატიზმისა გატარებული. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ შედეგი ამ ძირითადი პრინციპებისა, ეს შედეგი ვერ არის გატარებული ამ პროექტში, როგორც საჭიროა. და თუ ამ კონსტიტუციას ჩვენ ავაგებთ ისე, როგორც ამაში სწერია, ის ერთ თვეში ან თვითონ დაირღვევა, ან სახელმწიფოს დაარღვევს.

რაშია აქ საქმე?

აქ არის რამდენიმე წინაამდეგობა, რომელიც არ ეგუება იმ ძირითად დებულებებს დემოკრატიზმისა, რომელიც აქ არის და რომლებზედაც მე მოგახსენებთ:

პირველი წინააღმდეგობა აქ არის დაცული წმინდა პარლამენტარული სისტემა. წმ. პარლამენტარიზმი არ ეგუება რეფერენდუმსა და ინიციატივას. რატომ? თქვენ იცით, რას ნიშნავს წმ. პარლამენტარიზმი: ეს ნიშნავს, რომ მთავრობა დგება და იშლება თანახმად იმ უმრავლესობის სურვილისა, რომელიც არის ამა თუ იმ პარლამენტში.

აქ შეიძლება, მაგალითად, პარლამენტს მოსწონდეს მთავრობის პოლიტიკის საერთო ხაზი, მაგრამ ამა თუ იმ საქმეში დაინახოს შეცდომა და როგორც იტყვიან, ფორმულაში უსაყვედუროს მთავრობას და მთავრობა იძულებულია გადადგეს. იყო შემთხვევა ინგლისში-კურიოზული მაგალითისა. ერთ მინისტრს დაუკავეს ერთი თუმანი და ამიტომ იგი გადადგა (ვეშაპელი ჩვენში საწინააღმდეგო კურიოზებს აქვს ადგილი) ის, რაც ჩვენში არის, ჩვენი აზრით არის ღირსება და არა ნაკლი. (ვეშაპელი: ჩვენი მინისტრი ერთი მილიარდისათვის არ გადადგება) არ გადადგება იმიტომ, რომ ბ-ნ ვეშაპელს არ მოსწონს. მაგრამ, თუ აქ დაადგენს უმრავლესობა, მინისტრი წავა.

მაგრამ ეს კერძო შემთხვევა—სამინისტროს გადადგომა, არ ეგუება პრინციპს დემოკრატიზმისას. რატომ?

აი რატომ: ჩვენ ვთქვით, რომ თვით ხალხს შეუძლია დაიწუნოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი. ვთქვათ მიღებულია კანონი, ხალხი მას რეფერემნდუმის ძალით უარყოფს მაშინ პარლამენტი უნდა წავიდეს წმ. პარლამენტიზმის წესით. მაგრამ პარლამენტი რჩება და რჩება იმიტომ, რომ ის არის ხალხის მიერ არჩეული.

საერთო ხაზი ამ პარლამენტის პოლიტიკისა ხალხს მოსწონს, მაგრამ მას შეუძლია ესა თუ ის ნაბიჯი კანონმდებლობაში არ მოიწონოს. ამიტომ პარლამენტი არ არის ვალდებული სთქვას, მე არ მაქვს ხალხის ნდობა და წავიდეს.

მაშასადამე ჩვენ უნდა გავარჩიოთ სამი მხარე: 1) საერთო პოლიტიკური ხაზი, 2) კერძო პრაქტიკული კითხვები და 3) მთავრობის კრიზისი და აი ამაში, უნდა იყოს განსხვავება და როცა საერთო პოლიტიკური ხაზი მოწონებული არის, კერძო პრაქტიკულმა კითხვებმა ვერ უნდა გამოიწვიოს კრიზისები.

მაშასადამე აქ უნდა მოხდეს ის, რაც ხდება დემოკრატიულ რესპუბლიკაში ე. ი. როცა პარლამენტი ადგენს, სამინისტრო ვალდებულია დაემორჩილოს ისე, როგორც, როცა ხალხი ადგენს ეს კანონი არვარგა, პარლამენტი ვალდებულია ეს აასრულოს.

მაშასადამე პრინციპი დამორჩილებისა არ არის პრინციპი კრიზისებისა, არამედ პრინციპი დემოკრატიზმისა. უამისოდ დემოკრატიული რეჟიმის არსებობა შეუძლებელია. (ვეშაპელი: მორჩილი მინისტრი სჯობია ყოველთვის) მგონია ის მინისტრი, რომელიც შეასრულებს დადგენილებას უკეთესია, ვიდრე ის, ვინც მას არ ასრულებს და ქმნის კრიზისებს, (ვეშაპელი: თუ არ შეუძლია?) თუ არ შეუძლია ან ავადაა, ეს სხვა საქმეა. მაგრამ, თუ ის არ არის თანახმა ამა თუ იმ დადგენილებისა, ის არ არის ვალდებული წავიდეს. ხშირად მთავრობა და მე თქვენი მორჩილი მონა არა ვართ თანახმა თქვენი დადგენილებისა, მაგრამ ჩვენ მას ვასრულებთ. (კედია: თუ პარლამენტს უნდა თქვენი წასვლა?) მაშინ ამის შესახებ დადგენილება უნდა იყოს.

მაშასადამე კრიზისების მოწყობა ეწინააღმდეგება დემოკრატიზმის პრინციპს. ეს ერთი წინააღმდეგობა. მეორე წინააღმდეგობა, რომელიც არის კონსტიტუციის პროექტში არის შემდეგი: აქ არის წამოყენებული პრინციპი პარლამენტარიზმისა, მაგრამ არის უარყოფილი პრეზიდენტი. ამაშია ულოღიკობა. პრეზიდენტი პარლამენტარიზმის ღვიძლი შვილია. პრეზიდენტი არის ისეთი პირი, რომელიც განსაკუთრებულ დროს არის სახელმწიფოს მეთაური. მთავრობა იცვლება, შეიძლება მთავრობებში მოხდეს კრიზისი, ეს 1—2 კვირა გაგრძელდეს, ხოლო სახელმწიფოს საზღვრებზე კი მტერი გამოჩნდეს. პასუხის მგებელი მთავრობა აღარ არის. მაგრამ აგერ არის კაცი, ის არის პასუხის მგებელი, უმაღლესი დარაჯი და მას მოეთხოვება მიიღოს ყოველნაირი ზომები, რომ სახელმწიფო იქნეს ხსნილი ამ საშიშროებისაგან.

მაგრამ თუ თქვენ პარლამენტარული კანოხები გაქვთ, არის კრიზისები, აღარ გყავსთ მთავრობა, სახელმწიფო უპატრონოდაა—თქვენ იცით, ეს მოხდა ადერბეიჯანში, სადაც 21 დღე იყო მთავრობის კრიზისი და ამასობაში მოვიდნენ ბალშევიკები.

ასე რომ, პარლამენტარიზმიდან უექველად გამომდინარეობს პრეზიდენტის არსებობა, მაგრამ მე ვამბობ, რათა დემოკრატიზმიდან ეს არ გამომდინარეობს.

(გვაზავა: ამერიკა რომ არის დემოკრატიული და პრეზიდენტიც არის) დიახ, მაგრამ იქაურ პრეზიდენტს მეტი უფლება აქვს, ვიდრე ბევრს მონარქებს ევროპაში.

იქ სხვანაირ წესზე არის აგებული. ყოველ ქვეყანას უნდა ჰქონდეს საკუთარი კონსტიტუცია. თუ თქვენ გინდათ ჩვენ ქვეყანას ჩააცვათ სხვანაირი ტანისამოსი, ეს ვერ მიუდგება. ეს, ბატონო გიორგი, მთავარი საკითხია და ამიტომ ვამბობდით თავში, რომ ჩვენ ვალდებულნი ვართ ჩვენს ქვეყანას მივცეთ ისეთი კონსტიტუცია, რომელიც მას ეკადრება და არა ამერიკის შეერთებულ შტატებს. ჩვენ ისეთი კონსტიტუცია უნდა გვქონდეს, რომელიც შეეფერება ჩვენ ფაქტიურ ძალთა განწყობილებას, იგი უნდა იყოს აგებული ამაზე და არა იმაზე, რაც არის ამერიკაში. რა არის დემოკრატიული რეჟიმი? ავიღოთ მაგალითისთვის შვეიცარიის დემოკრატიული წესწყობილება. იქ არ არის პრეზიდენტი, მაგრამ არის თავმჯდომარე. მინისტრები რიგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგობით ასრულებენ ამ მოვალეობას, მაგრამ პრეზიდენტი ცალკე გამოყოფილი არ არსებობს. იმავე დროს იქ არის ისეთი კონსტიტუცია, რომ სახელმწიფო ერთი წუთითაც არ რჩება უპატრონოდ. მაშასადამე, იქ არის პასუხისმგებელი პირი, რომელიც მუდამ უყურებს, ასრულებს მთავრობის მოვალეობას და სახელმწიფო არ რჩება ისეთ მდგომარეობაში, როგორც ადერბეიჯანში. ე. ი. როცა არ არსებობს მთავრობა, მინისტრები, არის ერთი პირი, რომელიც ამ პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს.

რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ აქ უნდა იყოს არჩეული ერთი პირი, განსაზღვრული ვადით და ამ განსაზღვრულ ვადაში უნდა იყოს ის თავის პოსტზე. ჩვენში ასეთი ჩვეულება იყო: აქამდე, პარლამენტი, ან დამფუძნებელი კრება ირჩევდა მთავრობის თავმჯდომარეს და ის ადგენდა კაბინეთს. თავის თავად ცხადია, რომ წმინდა შვეიცარული სისტემა ჩვენში არ გამოდგება. შვეიცარიაში არის მთავრობა საქმიანი ხალხისაგან შემდგარი, ასე ვსთქვათ, მთავრობა შემდგარი მოხელეებისაგან. ჩვენში კი უნდა იყოს პოლიტიკური მთავრობა, იქ, შვეიცარიაში, მთავრობა არ აწარმოებს საგარეო პოლიტიკას, რადგან იგი ნეიტრალური სახელმწიფო არის. საგარეო პოლიტიკა არა აქვს და ამიტომ შესაძლებელია ასეთი საქმიანი, მოხელეების მთავრობა ჰყავდეთ. მაგრამ ჩვენში, საქართველოში, რომელსაც ირგვლივ ისეთი მეზობლები ჰყავს, რომ საგარეო საკითხი და საგარეო პოლიტიკა მთავარ საკითხად არის გადაქცეული, უნდა იყოს პოლიტიკური მთავრობა და არ შეგვიძლიან ისეთი აწყობა მთავრობისა, როგორც შვეიცარიაში არის. ჩვენ ერთი შეგვიძლიან მივიღოთ იქიდან: ეს ის, რაც ჩვენს პრაქტიკაში არის განმტკიცებული აი, ის ერთი რამ, რასაც ჩვენში უკვე ერთნაირი მოქალაქობრივი უფლება აქვს მოპოებული, მდგომარეობს იმაში, რომ მთავრობის თავმჯდომარე ვადით იქნას არჩეული. ამ ვადის განმავლობაში მთავრობის თავმჯდომარე რჩება თავის პოსტზე. შეიძლება მინისტრები შეიცვალონ, ან ყველა წავიდენ, მაგრამ ერთი პირი, რომელსაც ექნება ფუნქცია პრეზიდენტისა, სახელმწიფო წარმომადგენლობისა თავის ადგილზე უნდა იყოს. ყოველნაირ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ასე, რომ ან სამხედრო მინისტრი ან სხვა რომელიმე მინისტრი არ არის, მაგრამ ეს ერთი პირი მაინც არის, უყურებს სახელმწიფოს და ამ პიროვნებაში ერთდება მთავრობის თავმჯდომარეობა და სახელმწიფოს წარმომადგენლობა. მთავრობის თავმჯდომარე იძულებული იქნება, რომ ყველი დადგენილება პარლამენტისა მოიყვანოს სისრულეში: იქნება ეს დადგენილება პოლიტიკური ხასიათის, თუ შეეხება ამა თუ იმ მინისტრს, თუ კი დაადგენს პარლამენტი, რომ ამა და ამ მინისტრს არ ენდობა, მთავრობის თავმჯდომარე ვალდებული იქნება, რომ ის მინისტრი გამოსცვალოს. ასეთი შეერთება პარლამენტარიზმის და დემოკრატიზმის სისტემისა, ერთის მხრით ვადიანობისა და მეორეს მხრით უვადიანობისა, აგვაშორებს იმ ნაკლს, რომელიც ამ პროექტში არის თანდაყოლილი ჩვენში არ იქნება პრეზიდენტი, ცალკე პიროვნება, მაგრამ ჩვენში იქნება ისეთი პირი, რომელიც ასრულებს მის მოვალეობას.

**თავმჯდომარე.** ვინაიდან თქვენი დრო გათავდა, მე წინადადებას ვაძლევ დამფუძნებელ კრებას კიდევ გავაგრძელოთ ლაპარაკის დრო. (ხმები: გთხოვთ) წინააღმდეგი არავინ ბრძანდებით? არავინ. გთხოვთ განაგრძოთ.

**ნ. ჟორდანია.** აი, თუ ასეთნაირად ავაწყობთ ჩვენ ცენტრალურ მთავრობას, თუ ჩვენ მთავრობის თავმჯდომარეს დავაკისრებთ ფუნქციებს წარმომადგენლობისა, მაშინ ცხადია ყოველ კრიზისის დროს, მთავრობის გადადგომის ან მინისტრების შეცვლის დროს, ის უნდა იყოს დარაჯი მთელი სახელმწიფოსი, მას უნდა ჰქონდეს ერთნაირი უფლებებიც. მას უნდა ჰქონდეს უფლება, როცა მთავრობა არ არის, ან და შეფერხებულია გამოიყვანოს ჯარი, სანამ პარლამენტი შეიკრიბებოდეს და ეს შემდეგ დაუყონებლივ აცნობოს პარლამენტს. მაგალითად ისეთ ქვეყანაში, როგორც ჩვენია, სადაც ირგვლივ ისეთი მეზობლები გვყავს, რომ არ იცი საიდან ან და როდის რა მოველის, მთავრობა უნდა იყოს ფხიზელი, დარაჯი და თუ ამ მთავრობის თავმჯდომარეს, რომელიც რჩება უცვლელი—არ ექნება ეს უფლება, ჩვენ ქვეყანას განადგურება არ ასცდება. ჩვენ არა ვართ შორს საზღვრებიდან და 2—3 საათის განმავლობაში შეიძლება უცხო ჯარი შემოვიდეს და ეს ჩვენი ქალაქი, ყოველ შემთხვევაში აღმოსავლეთი საქართველო დაიპყროს. რომ ეს არ მოხდეს საჭიროა, რომ ამ პიროვნებას, მუდმივ დარაჯს სახელმწიფოში, ჰქონდეს მეტი უფლება, ვიდრე ამ პროექტში არის აღნიშნული. ჩვენი კონსტიტუციის პროექტში ის აზრი არის გატარებული, რომ, რაც შეიძლება მთავრობას ნაკლები უფლება ჰქონდეს, ეს, რასაკვირველია, ასე უნდა იყოს ფედერატიულ სახელმწიფოში, მაგრამ უნიტარულ, დემოკრატიულ რესპუბლიკაში ასე არ უნდა იყოს. თავის თავად ცხადია, რომ ამ მთავრობას არ უნდა ჰქონდეს ისეთი უფლებები, რომ მან შესძლოს ხალხს წაართვას უფლება, მაგრამ, არც ისე უნდა იყოს დაუძლურებული თავის უფლებებით, რომ ადგილობრივ ორგანიზაციებმა დაარღვიოს სახელმწიფო. სწორედ ასეთი საშუალო ფორმულის გამონახვა კონსტიტუციის პრობლემა არის. აქ აუცილებლად საჭირო არის ერთ საგანზე ვიფიქროთ. ძირითადი პრობლემა კონსტიტუციისა იმაში მდგომარეობს, რომ ერთის მხრით თავისუფლება და წესიერება და მეორეს მხრით მთლიანობა იქმნას დაცული. ამიტომ საჭირო არის ცენტრალური ძალა მმართველობისა აღჭურვილი იყოს ისეთი ძალა-უფლებით, რომ სახელმწიფოს და წესიერების დამრღვევთა წინააღმდეგ მიიღოს ზომები. სწორედ ამ მმართველობის ორგანიზაციის საკითხი, არის ძირითადი საკითხი კონსტიტუციისა. ჩვენში თუ ეს მმართველობის ორგანიზაცია ისე მოეწყო, რომ ხალხს შერჩეს უფლებები და ამავე დროს თუ არ იქმნა დარღვეული სახელმწიფოს წესიერება, მაშინ მართლა შესანიშნავად იქნება გადაწყვეტილი კონსტიტუციის ეს საკითხი. თუ არა, მუდმივი კოლიზია და შეხლა-შემოხლა იქნება ცენტრალურ მთავრობის, პარლამენტის, ადგილობრივ ორგანიზაციების და ხალხს შორის.

მაგრამ ამასთანავე უნდა ვთქვათ, რომ ხალხს, დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც უაღრეს როლს თამაშობს შეკავშირებული მუშათა კლასი, ვერ დააკმაყოფილებს წმინდა პოლიტიკური ფუნქციები. სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს, გადაიქცეს არა მარტო პოლიტიკურ, არამედ იმავ დროს სამეურნეო ორგანიზაციათ. აქ, დემოკრატიულ სახელმწიფოს დემოკრატიული მთავრობა და მთელი მმართველობის ორგანოები უნდა ცდილობდენ, რომ სახელმწიფოში საზოგადოებრივი მეურნეობა იქნას აღორძინებული და ხალხის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესებული. მდიდარი კლასების მისწრაფება სწორედ რომ წინააღმდეგი არის. მისი მთავარი მისწრაფება არის, რომ სახელმწიფო იყოს მხოლოდ პოლიტიკური ორგანიზაცია და არ აწარმოოს სამეურნეო საქმიანობა. თქვენ იცით, რომ ამერიკაში თუმცა დემოკრატიული სახელმწიფოა, მაგრამ მის ხელში დღეს რკინის გზებიც არ არის. ასე რომ ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ამ აზრისა არიან, რომ სამეურნეო საეკონომიო საქმე არის პიროვნების საქმე. პირიქით, სოციალისტური მიმდინარეობა და სოციალისტური აზროვნება იმაშია, რომ სახელმწიფო თანდათან გადაიქცევა სამეურნეო ორგანიზაციათ. ვინაიდან ჩვენში ქმნის კონსტიტუციას სოციალისტური ელემენტები თავის თავად ცხადია, რომ ეს ძირითადი პრინციპები უნდა იყოს ჩაქსოვილი კონსტიტუციაში. ამ მხრით ჩვენი რესპუბლიკა ერთ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. არც ერთ რესპუბლიკას ქვეყანაზე არ აქვს ისეთი უხვ-მაზარი ქონება, როგორც ჩვენ: ტყეები, წყლები, მადნები, რკინის გზები, მიწები. მაშასადამე, ჩვენ გვაქვს ფართო ასპარეზი, ეს სიმდიდრე უნდა დაამუშაოს სახელმწიფომ და გახადოს ერთნაირ წყაროდ ხალხის მატერიალურ სიმდიდრისა. ამნაირად პირველ რიგზე სახელმწიფომ უეჭველად უნდა დააყენოს ეკონომიური კითხვები, მატერიალურ კულტურის განვითარება და თავისი პოლიტიკური ორგანიზაცია.

აი ასეთია ძირითადი კითხვა დემოკრატიულ რესპუბლიკის კონსტიტუციისა. მე აქ, რასაკვირველია, არ შევუდგები უფრო წვრილმან საკითხებს ან ცალკე თავებზე ლაპარაკს—ამაზე ალბათ ჩემი ამხანაგები ილაპარაკებენ. ამნაირად ჩვენი მიზანია შევქმნათ ისეთი დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიულ, უნიტარულ რესპუბლიკას, უფლებით განაწილებას ცენტრალურ დაწესებულებათა და ხალხის და მის ადგილობრივ ორგანოთა შორის, უზრუნველყოფს უპრეზიდენტობას, მაგრამ ამასთანავე სახელმწიფოს მთლიანობას მთავრობის დამორჩილებას პარლამენტისადმი და კრიზისების აცილებას თავიდან თავისუფლებისდა წესიერების ერთად შეთავსებას, სახელმწიფოს თანდათან სამეურნეო ორგანიზაციათ გადაქცევას და შიგ შრომის შვილთა პოლიტიკურად და ეკონომიურად გაბატონებას. ეს იქნება პირველი კონსტიტუცია აგებული სოციალისტურ-დემოკრატიულ საფუძველზე და მას დაუპირდაპირებთ ყველა არსებულ ბურჟუაზიულ და ბოლშევიკურ კონსტიტუციას. ეს იქნება მესამე ტიპის კონსტიტუცია, მართლაც ხალხური და მასთან ერთად სოციალისტური (ტაში).

## შინაგან საქმ. სამინისტროში

### ადმინისტრაციის განსაწმენდათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ინსპექტორის ივ. ქარცივაძის მიერ 2 დეკემბერს გაეგზავნა ყველა მაზრის და ქალაქის მილიცის უფროსებს და ყველა ქალაქის და საერობო თვითმართველობებს შემდეგი ცირკულიარი: „მიუხედავათ მრავალჯელ მოხდენილ განკარგულებათა ზოგიერთ მილიციის უფროსები განაგრძობენ სამსახურში მილიციის უფროსათ, მილიციელათ თუ სხვა თანამდებობაზე ისეთი პირთა მიღებას, რომლებიც სხვაგან მსახურობდნენ და სხვა და სხვა დანაშაულობათა გამო დათხოვნილ იყვნენ სამსახურიდან, ამის გამო, ხშირად ამა თუ იმ თანამდებობაზე ინიშნება პირი, რომელიც ღირსი არ არის ამისა. ეს მოვლენა არანორმალურია: მას დიდი არევ-დარევა შეაქვს საქმეში, ადმინისტრაციას ხალხის თვალში უკარგავს ნდობას და სცემს მთავრობის პრესტიჟს. ამიტომ თითოული პირის შესახებ, როგორც სამსახურში მყოფ, აგრეთვე იმათ შესახებ, რომლებიც შემდეგ მიიღებიან, კანცელარიაში უნდა მოიპოვებოდეს გარდა ნამსახურების ქაღალდებისა და სხვა წერილობითი დოკუმენტებისა, ცალკე შეკრებილი დაწვრილებითი ცნობები, თუ როგორი ყოფაქცევისაა ესა თუ ის პირი, როგორია მისი ზნეობრივი და სხვა მხარეები და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადაწყდეს მისი მიღებისა თუ არ მიღების საკითხი. ასეთი ზომებით შესაძლებელია ადმინისტრაციის გაჯანსაღება და მისი შესაფერ დონეზე დაყენება. გაცნობებთ რა ამას სახელმძღვანელოდ, უკანასკნელად გაძლევთ წინადადებას ყოველივე ეს სასტიკად იქნას დაცული.

## დამფუძნებელი კრებაში

დამფ. კრების პრეზიდიუმის სახელზე შემდეგი შინაარსის დეპეშა მოვიდა:

ხაშმის თემის ახალგაზრდათა მარქსისტული ორგანიზაცია მიესალმება დამფ. კრებას და საქართველოს დემოკრატიასთან ერთად ფიცსა სდებს, რომ იგი დაიცავს საქართველოს მოზღვავეულ მტრებისაგან, საიდანაც უნდა დაგვეცენ ისინი.

— ბათომიდან შემდეგი დეპეშა მოვიდა: ნოემბრის 29, შესდგა გაერთიანებული კრება ქვედა აჭარის სოფლებისა, გომბორის და ქედის, რომელსაც დაესწრენ ი. რამიშვილი და ოლქის უფროსი მიქაბერიძე. მოხსენების მოსმენის შემდეგ კრებამ დაადგინა: მიმართოს მისალმებით დამფ. კრებას და მთავრობას და განუცხადოს მას, რომ ისინი მზად არიან დაიცვან რესპუბლიკა ყოველგვარ საფრთხესაგან. ამასთანავე კრებამ დაადგინა სთხოვოს მთავრობას ზოგიერთ პირებისათვის დანაშაულის პატიება და განთავისუფლება. ამასთანავე ამავე კრებაზე აირჩიეს კომისრები ყოველ თემისათვის.

## სომხეთი

შექმნილ მდგომარეობის გამო მთელი ძალა-უფლება გადაეცა სამხედრო მინისტრს ვრაციან დროს, ძველი კაბინეტი გადადგა. დრომ მოლაპარაკება გამართა კომუნისტებთან, რომლითაც შედეგ შედეგებს მიაღწია: სომხეთი უნდა გამოცხადდეს საბჭოთა რესპუბლიკათ; შესდგა ახალი მთავრობა, რომელშიაც ხუთი კომუნისტი შედის; კასიანი (თავმჯდომარე), ტერ-გაბრიელიანცი (ლეგრანის მრჩეველათ), ალ. ბეკზადიანი (გარეშე საქმეთა მინისტრი), მრავიანი და ნურიჯანიანი: დაშნაკელებიდან ორი. დრო და ტერტერიანი (ყოფილი ფინანსთა მინისტრი ვრაციანის კაბინეტში, მოსკოვში გაგზავნილ შანტის დელეგაციის წევრი).

— ლეგრანის განცხადებით საბჭოთა რუსეთი სცნობს სომხეთს თავისუფალ, დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკათ.

— სომხეთში ახლა სიწყნარეა, მიღებულია წინასწარი ზომები სამოქალაქო ომის თავიდან ასაცილებლათ.

— სანაინიდან 1 დეკემბერს შემდეგს იუწყება გაზეთი „აშხატავორი“:

„კარაკლისიდან ტელეფონით გვატყობინებენ: საბჭოთა ჯარებმა გადალახეს საზღვრები და დაიკავეს ყარავან-სარაი, მოწინავე ჯარები შევიდნენ დელიჟანში. რადგან სომხეთის ჯარი ფრონტზე იყო და დელიჟანში კი ევაკუაცია მოხდა, ჯარმა უწინააღმდეგოთ დაიკავა ქალაქი და მისი მიდამოები. ჩვენდამი მოსულ ცნობებით ბოლშევიკების მთავარი მიზანია ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. ხალხის სიმპატია, რომ დაიმსახურონ ბოლშევიკებმა თან მოიტანეს ორი ურემი მანუფაქტურა და ხუთი ურემი ფქვილი. მათ იმედი აქვთ, რომ პოზიციების დაკავების შემდეგ თავისთავად მოხდება სომხეთის მთავრობასთან შეთანხმება.

ლეგრანის სიტყვით წითელი ჯარი თავის ნებით კი არ შესულა სომხეთში, არამედ უკანასკნელის მოწოდებით.

როგორც სჩანს, სომხეთს ზურგიდან სცემენ ლახვარს“ („სლ.“).

## ახალი ამბები

✦ **ფრონტის დამხმარე კომიტეტში.** ბათომიდან დაბრუნდა ფრონტის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე ს. ქორქოლიანი, რომელიც ბათომში ადგილობრივ თავდაცვის ფონდის კომიტეტის დასაარსებლად იყო გაგზავნილი. ბათომში თითქმის უკვე მოწყობილია ორგანიზაცია, რომელიც ფრონტის დასახმარებლად მუშაობს. ადგილობრივი განყოფილება ავტორიტეტულია თავის შემადგენლობით, რადგან მასში შედიან ყველა ორგანიზაციისა და პარტიისა და ყველა ეროვნების წარმომადგენლები. ეს განყოფილება ქალაქის თვითმართველობის ინიციატივით დაარსდა. განყოფილებამ მოისმინა რა ს. ქორქოლიანის მოხსენება დაადგინა მიიღოს ცენტრის წარმომადგენლის მიერ წამოყენებული წინადადება მთავარ კომიტეტთან შეთანხმებულად მუშაობის შესახებ.

✦ **საბჭოს კრება.** დეკემბრის 6-ს, ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით ფინანსთა მინისტრის საბჭოს კრება შესდგება, რომელზედაც გაირჩევა შემდეგი საკითხები: 1) ქართული ცენტრალური საზოგადოების დამზღვევ „კავშირის“ წესდების დამტკიცება, 2) აბაშის სავაჭრო სამრეწველო ბანკისა, ოზურგეთის კომერციულ ბანკისა და ახალსენაკის ბანკის წესდების დამტკიცება და სხვა.

✦ **სახელმწიფო შემოსავალი.** თანახმად ფინანსთა სამინისტროს ცნობისა: მიმდინარე წლის ოქტომბერში სახელმწიფო გადასახადის სახით შემოსულ 303.303.044 მან. მათ შორის პირდაპირ გადასახადის სახით შემოსულა 32.127.668 მან. არაპირდაპირი გადასახადის სახით 238.628.606 მან. საბაჟო გადასახადის სახით კი 32.546.620 მან. წინა თვესთან შედარებით შემოსავალი გაიზარდა 29.408.599 მანეთით. ამასთანავე შემოსავალი პირდაპირ გადასახადის სახით გაზრდილა 19.086.895 მან. საბაჟო გადასახადის სახით 2.704.925 მანეთით, და აქციზის სახით კი 7.616.779 მანეთით.

✦ **სახელმწიფო გადასახადთა შემოსავალი.** მიმდინარე წლის ხარჯთ აღრიცხვის თანახმად კი ფიქრობენ, რომ პირდაპირი გადასახადის სახით შემოვიდოდა 16.734 250 მან. არაპირდაპირი გადასახადების სახით 121.593.333 მან. და საბაჟო გადასახადის სახით კი 7839979 მან. მაშასადამე, ნამდვილმა შემოსავალმა გადააჭარბა ხარჯ აღრიცხვაში აღნიშნულ შემოსავალს.

✦ **რკინის გზელთა შორის.** დეკემბრის 2 ნაძალადევში კლუბის შენობაში შესდგა სახელოსნოებისა და დეპოს მუშების მრავალრიცხოვანი შეერთებული კრება. კრებაზე მოისმინეს კ. მაჭარაძისა და რკ. გზ. კონფერენციის დელეგატების მოხსენება მუშა მოსამსახურეთა ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. მოხსენების მოსმენის შემდეგ დაადგინეს: 1. დაუყონებლივ გატარებულ იქმნას ცხოვრებაში ცენტრალურ ორგანოების მიერ მიღებული დადგენილება ერთდროული დახმარებისა, პურის ულუფის გადიდების შესახებ და მუშათა კლასის ეკონომიური გაუმჯობესებისათვის გამონახულ იქმნას საშუალებები. 2. დაევალოს შესაფერ ორგანოებს მიიღონ აუცილებელი ზომები ეკონომიური თათბირის დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად. 3. სათბობი მასალით უზრუნველყოფის საკითხის მოწესრიგება. 4. ბინის საკითხის მოწესრიგება. 5. დაარსდეს საგანგებო კომისია ბოროტ-მოქმედებასთან საბრძოლველად, სადაც მუშათა წარმომადგენლებიც უნდა შევიდენ. 6. ბოროტ-მოქმედებით

შეძენილი ქონება სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამორთმეულ უნდა იქმნეს.

✦ **გამოცემულობა.** რედაქციამ მიიღო: „სოციალიზმის პრობლემები და პრესპექტივები საქართველოში“ კ. კაუცკისა, თარგმანი გერმანული ხელნაწერიდან, გამოცემა ს. დ. ცენტრალურ კომიტეტისა; წიგნი გამოცემულია ძალიან სუფთად, კარგ ქაღალდზე შეიცავს 43 გვერდს, ღირს 70 მ.

✦ **ერობა.** ერობათა კავშირის ორგანო № 11-12; ჟურნალში მოთავსებულია ასათიანისა ვ. ღლონტისა, ნარ აძისა გრ. საქარიქედლისა, ტ. მარგველაშვილისა და სხ. მეტად შინაარსიანი წერილები.

### სამხატვრო ქრონიკა

✦ **სახელმწიფო ოპერა.** კვირას 5 დეკემბერს ბავშვებისათვის მორდკინის მონაწილეობით კოპელია.

კვირას 5 დეკემბერს ორიგინალური ქართული კომიკური ოპერა ვიქტორ დოლიძისა „ქეთო და კოტე“ მონაწ: კალანდაძე, ერმოლინსკაია, ოვსიანიკოვისა, სარაჯიშვილი, ვენაძე, ისეცკი, კურბატოვი, ქურხული.

## ტყის დაცვა.

ყველა კულტურულ ქვეყანაში ტყეს ძალიან ფრთხილად და მორიდებით ეპყრობიან; ეს იმიტომ, რომ იქ თვითეულ მოქალაქეს კარგად აქვს შეგნებული ტყის უდიდესი მნიშვნელობა ადამიანის არსებობისათვის. ტყე ერთის მხრივ იძლევა საუკეთესო სათბობ და ასაშენებელ მასალას, მეორეს მხრივ ინახავს სისოვლეს, ახდენს საუკეთესო ზეგავლენას კულტურულ მცენარეებზე ანოყიერებს მიწას, გარდა ამისა მთის ტყეები იფარავს ბარს შვებისაგან, რომელიც გაანადგურებდა ბარში არამც მარტო ჰირნახულს, არამედ მთელ სოფლების რიგსაც კი მოსპობდა; მაგრამ ტყის რომელი ერთი მნიშვნელობა და სარგებლობა უნდა განვიხილოთ ამ პატარა წერილში. მიუხედავათ ამისა ტყეს ძალიან უდიერად, ჯალათურად ეპყრობა ჩვენი გლეხობა. ძველ დროს მათ ცოტაოდენი რიდი და შიში ქონდათ ტყის მცველებისა, ეხლა კი არაფერს ერიდებიან; მიადგებიან მოლესილი ცულით და სამუდამოდ სპობენ საუკეთესო ხის ჯიშებს; ძირიანად სწვავენ ხეებს ყანისათვის, რომელზედაც მხოლოდ რამდენიმე მოსავალი თუ მოვა; ტყეში აწყობენ სანახშირე ორმოებს და სწვავენ ასაშენებელ მასალად გამოსადეგ ხეებს ნახშირად. ერთი სიტყვით თავს არ იზოგავენ, რომ როგორმე მალე აუგონ წესი ჩვენი ქვეყნის მშვენიერ ბუნებრივ სიმდიდრეს, დოვლათს. რომ ჩამოუგდოთ გლეხებს ტყის შესახებ ლაპარაკი და ურჩიოთ, რომ მათ ხელი აიღონ ტყის განადგურებაზე, გეტყვიან: „ტყე ღვთისაა, უნდა მოვიხმაროთ მა რაო?“ კი უნდა ტყეს მოხმარა, მაგრამ ამისათვისაც ხომ საჭიროა წესი სარგებლობისა, ზომიერება, ნორმის ფარგლებში. ტყე, წყალი და ჰაერი ხომ არ არის, რომ დაუზოგავათ ვისარგებლოთ მითი.

ამ სამწუხარო მოვლენისათვის ყურადღება მიუქცევია აგრეთვე მიწათმოქმედების სამინისტროსთან არსებულ სატყეო განყოფილებას, რომელმაც თხოვნით მიმართა ერობათა კავშირს, რათა გააფრთხილოს სამაზრო თუ სათემო თვითმართველობანი, რომ მათ მიიღონ შესაფერისი ზომები ტყის გადასარჩენად. ცხადია ერობებმა და თემებმა მართლაც უნდა საშუალებანი მიიღონ, რომ ტყე საბოლოოდ არ გაჩანაგდეს; ამისათვის საუკეთესო საშუალებაა აგიტაცია ხალხში, სახალხო ლექციები, რომ ხალხმა შეიგნოს ერთხელ და სამუდამოთ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მისი არსებობისთვის ტყეს. ჩვენი ხალხი ისე შეუგნებელი არ არის, რომ მან ნარქვამი არ გაიგოს. ეს მუშაობა ერობებმა უნდა აწარმოოს, მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს სოფლის მასწავლებელმა, საერთოდ სოფელში მომუშავე თვითეულმა ინტელეგენტმა.

თვით იმავე სატყეო განყოფილებამაც მეტი ენერგია უნდა გამოიჩინოს ტყის დაცვის საქმეში. მან განფრთხილება უნდა მისცეს თვითეულ ტყის დარაჯს, ტყის გამგეებს, რომ მათ სასტიკად უნდა მიიღონ კანონიერი ზომები ტყის მოვლა-პატრონობისათვის.

X.

### განცხადებანი

დაიკარგა საბინაო დავთარი ტერ-გუკასოვის ქ. № 19 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის მოგილევსკის. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4031 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული კულაშის თემიდან და ნუსხა, მიღებული ქუთაისის სამხედრო აღრიცხვის უფროსაგან ისხაკ აბრამის ძე გირილაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4026 3—2

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა პელაგია ალექსანდრეს ასული კლიმოვის სახელზე. მიღებული სტავროპოლის ეკლესიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4037 3—2

დაიკარგა აღმასრულებელი ფურცელი № 958, მიღებული ჩხარის უბნ. მომრიგ. მოსამართლესაგან 1914 წ. თედორე კირკიტაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4025 3—2

დაიკარგა სათადარიგო ბილეთი № 1497, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელი ბილეთი ეზეკია კახაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3967 3—3

დაიკარგა პასპორტი № 7426 ელისაბედ ჩახანაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3979 3—3

დაიკარგა სამსახურის ნუსხა № 3 გრიგოლ ნიკოლოზის ძე კონოვალოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3382 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი ვარვარა მარტინის ასული გონდაგსაზოვის სახელზე, მიღებული ბათომში, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3973 3—3

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული პირადობის მოწმობა კაპიტონ ბესარიონის ძე როგავას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3968 3—3

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად პავლე სტეფანეს ძე თევდორაძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს კეთილ-საიმედო პიროვნების მოწმობა, მიცემული მეორე წყალ გაღმა უბნის კომისრისაგან, სთხოვს მპოვნელებს წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. 3978 3—3

დაიკარგა განათლების მოწმობა № 15 იოსებ ნანაძის სახელზე, მიღებული ს. დაფნარის სამასწავლებლო სასწავლებლიდან 1916 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს, 3978 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი დომლაურის ამხანაგობის სახელზე ს. ქვენატკოცაში მდებარე მამულის, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3980 3—3

დაიკარგა მინდობილობა თეოფილე ოსიფეს ძე რამიშვილის მიერ მიცემული ანა ესეს ასული რამიშვილის სახელზე, შედგენილი ნოტარიუს მაჰავარიანთან და შინაური ნასყიდობის ქაღალდი თ. რამიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3951 3—3

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად იორამ იოსების ძე ლოსაბერიძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პასპორტი და ნუსხა, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. 4020 3—2

სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის ბოქაული ი. გელანტია ამით აცხადებს, რომ იანვრის 17, 1921 წ. დილის ათ საათზე, ქალ. ახალსენაკში ყრილობის სადგომში დანიშნულია საჯაროდ გაყიდვა უძრავი ქონებისა კუთვნილი გარდაცვალებულ ივანე ივანეს ძე ასათიანის მემკვიდრეებს, რომელიც მდებარეობს ქ. ფოთში, ლევაშოვის ქუჩაზე და შეიცავს ერთს ნაკვეთს სივრცით 33 ოთხკუთხ საჟენ მიწას მასზე აგებული ერთსართულიანი აგურის სადუქნე შენობით დახურული თუნუქით. მამული ესე იყიდება მევალე ლევან გრიგოლის ძე დგებუაძის სარჩევრის დასაკმაყოფილებლად, აღმასრულებელ ფურცლის ძალით. მამულზე ვალი არ ირიცხება და შეფასებულია გასაყიდად 3075 მან. აღწერილობის და საბუთების ნახვა შეიძლება ყოველდღე ყრილობის კანცელარიაში 9—2საათამდე. 4013 1—1

დაიკარგა პასპორტი ალექსანდრე იოსების ძე გერბასმანის სახელზე, მიღებული ბათომის ქალაქის მილიციიდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3970 3—3

დაიკარგა ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული პირადობის მოწმობა სტ. ილია კობიაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3960 3—3

ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბოქაული კ. ახვლედიანი ამით აცხადებს, რომ 25 თებერვალს, 1921 წელს, დილის ათ საათზე, ამავე სასამართლოში არის დანიშნული საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც გაიყიდება უძრავი მამული გარდაცვალებულ ივანე გრიგოლის ძის მარკაროვის, მდებარე ქალ. ტფილისში, მესამე მილიციის უბანში განოვის ქუჩაზე, № 23, რომელიც შეიცავს ერთ ნაჭერ ადგილს, ზომით 328 ოთხკუთხ საჟენს, ზედ აგებულ ქვის საცხოვრებელ სახლით, დახურული რკინით; ზედა სართულში არის ხუთი ბინა, შუა სართულში ოთხი ბინა, დაბლა სართულში კი ორი ბინა ელექტრონული განათებით და წყალსადენით. ეს მამული არის დაფასებული 100,000 მან., რომელ დაფასებიდანაც დაიწყება ვაჭრობა სერგი ივანეს ძე მურადბეგოვის დასაკმაყოფილებლად. ეს მამული დაგირავებული არ არის.

ვისაც კი სურს მიიღოს მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში გარდა იმ პირებისა, რომელნიც არიან ნაჩვენები 1155[2] მუხლ. სამოქ. საქმ. წარმ., უნდა წარმოადგინოს საჯარო ვაჭრობის დაწყებისას 10% დაფასების მიხედვით. ვრცელ აწერილობას და სხვა ქაღალდებს, ვისაც უნდა ნახავს ოლქის სასამართლოს სამწერლოში ბოქაულთან. 4024 1—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ალექსი ალექსის ძე არაფელოვმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი იულია ნიკოლოზის ასული არაფელოვისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1914 წ. უკვალოდ დაიკარგა 1915 წლიდან, რის გამო თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგულ იულია არაფელოვის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 4073 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი სერეტანის ქ. მცირე ბანდში № 4 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ოგანჯანოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4063 3—1

დაიკარგა პასპორტი აგაჯან ენოქის ძე ქარტაშიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4069 3—1

სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის ბოქაული ი. გელანტია ამით აცხადებს რომ, 17 იანვარს 1921 წ. დილის 10 საათზე ქ. ახალ-სენაკში ყრილობის სადგომში დანიშნულია საჯარო გაყიდვა უძრავი ქონებისა კუთვნილი გარდაცვალებული ანდრია, კვირკვიას მემკვიდრეების, რომელიც მდებარეობს ქ. ზუგდიდში და შეადგენს ერთი ნახევარი სადუქნე ადგილს სიგრძით 8⅔ ოთხ. კუთხ. საჟენი მაზედ დგმული ერთი ხის დუქანი დახურული ყავრით, მამული ესე იყიდება მევალე კოსტა შენგელიას სარჩევრის დასაკმაყოფილებლად აღმასრულებელი ფურცლის ძალით, მამულზედ ვალი არ ირიცხება და შეფასებულია გასაყიდათ 1000 მან. საბუთების აწერილობის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე ყრილობის კანცელარიაში 9—2 საათამდე. 4013 1—1

დაიკარგა პასპორტი იაკობ ავეტისას ძე ტეპანოსიანცის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან 1908 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4070 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა მანუახ მოშეს ძე მანაშეროვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4076 3—1

დაიკარგა სად. ქარელიდან ფქვილის ჩამოტანის ნებართვა ნიკ. დიმიტ. ჯიჩიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4069 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 3520 ივანე გოძიევის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4068 3—1

სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის ბოქაული ი. გელანტია ამით აცხადებს 17 იანვარს 1921 წ. დილის 10 საათზე ქ. ახალ-სენაკში, ყრილობის სადგომში დანიშნულია საჯაროდ გაყიდვა უძრავი ქონებისა კუთვნილი გარდაცვალებული ირაკლი მერაბის ძე ეჯიბიას მემკვიდრეების, რომელიც მდებარეობს ქ. ახალ-სენაკში მონასტრის ქუჩაზედ და შეიცავს ადგილს სივრცით 675 ოთხ. კუთხ. საჟენს მამული იყიდება მევალე თებრომე ხუხუას ასულის სარჩევრის დასაკმაყოფილებლად აღსასრულებელი ფურცლის ძალით. მამულზე ვალი არ ირიცხება და შეფასებულია გასაყიდათ 3000 მან. აწერილობის და საბუთების ნახვა შეიძლება ყოველ დღე ყრილობის კანცელარიაში 9—3 საათამდე. 4013 1—1

სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის ბოქაული ი. გელანტია ამით აცხადებს რომ იანვარის 17-ს 1921 წ. დილის 10 საათზე ქ. ახალ-სენაკში ყრილობის სადგომში დანიშნულია საჯაროდ გაყიდვა უძრავი ქონებისა კუთვნილი გარდაცვალებული მარკოზ კაკულიას, მემკვიდრეების რომელიც მდებარეობს ქ. ფოთში 130 კვარტალში ნომრის ქვეშ 1144 და 1143, და შეიცავს ეზოს ადგილს ზომით 300 ოთხ. კუთხ. საჟენს მაზედ დგმული ერთი ხის სახლით დახურული თუნუქით. მამული იყიდება საჯაროდ მევალე გიორგი საბახნარიშვილის დასაკმაყოფილებლად აღმასრულებელი ფურცლის ძალით და შეფასებულია გასაყიდათ 1785 მან. მამულზე ვალი არ ირიცხება. აწერილობის და საბუთების ნახვა შეიძლება ყოველ დღე ყრილობის კანცელარიაში 9—2 საათამდე. 4013 1—1

სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის ბოქაული ი. გელანტია ამით აცხადებს, რომ იანვარის 17-ს 1921 წ. დილის 10 საათზე ქ. ახალ-სენაკში ყრილობის სადგომში დანიშნულია საჯაროდ გაყიდვა უძრავი ქონებისა, გარდაცვალებულ მათე სიმონის ძე აფსავას დანაშთი ქონებისა რომელიც მდებარეობს ქ. ფოთში, ლიალინის ქუჩაზედ ნომრის ქვეშ 229 და შეიცავს ეზოს ადგილს ზომით 5 ოთხკუთხ საჟენს, მაზედ დგმული ერთი ხის სახლით დახურული კრამიტით. მამული ესე იყიდება მევალე ისაკი აფსავას სარჩევრის დასაკმაყოფილებლად აღმასრულებელი ფურცლის ძალით და შეფასებულია გასაყიდათ 8.095 მან. 50 კაპ. მამულზე ვალი არ ირიცხება. მამულების აწერილობის და საბუთების ნახვა შეიძლება ყოველ დღე ყრილობის კანცელარიაში 9—2 საათამდე. 4013 1—1

ამიერ კავკასიის ზეთის, საპნის და ქიმური ქარხნების აქციონერული საზოგადოების

## „ქიროპასის“ გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1920 წ. დეკემბრის 28-ს საღამოს 6 საათ. გამგეობის ბინაზე ქალ. ტფილისში, კოლოუბნის ქ. № 7 ვოლგა-კამის სახლში, შესდგება.

### საზ. აქციონერთა საგანგებო საზოგადო კრება

განსახილველია შემდეგი წინადადებანი: 1. წინადადება საზ. ძირითადი თანხის გადიდების შესახებ; 2. წინადადება საზოგ. მოძრავი და უძრავი ქონების გადაფასების შესახებ და 3. მიმდინარე საქმეები.

4087 1—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.